№ 237

პარასკევი, 14 ნოემბერი, 1897 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

1877—1897

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 237

პარასკევი, 14 ნოემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 16 ნოემბერს.

ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲣᲠᲗ
აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 15 გიორგობისთვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკკლესიაში, ავლაბარში, გადახდილ იქნება წლის წირვა დილის $9^1/_2$ საათზედ

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲛᲝᲡᲔᲡ ᲫᲘᲡ Მ. ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

სულის მოსახსენებლად.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲕᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ უმორჩილესად სთხოვს ხსენებულ ეკკლესიის მრევლთ, მობრძანდნენ ეკკლესიაში კვირას, 16 ნოემბრს, 12 საათზედ, ეკკლესიის მნათეს ამოსარჩევად, რადგანაც ამ ეკკლესიის მნათეს შეუსრულდა მეორე ვადა (ექვსი წელიწადი). (1—200—1).

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲜᲝᲥᲐᲠᲘ,
კარგი მცოდნე გასტრონომიულის ვაჭრობისა. მსურველთ მიჰმართონ თავისის პირობებით ქართველთა საადებ მიცემო ამხანაგობის

„ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲡ
(2—6.—1)

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ებოძა დაღესტნის ოლქის კაითაღო-ტაბასარანის ნაწილის უფროს, პოლკოვნიკს თავად მაყაშვილს გენერალ—მაიორობა.

დათხოვნილ იქმნენ, თავისისავე თხოვნით თანამდებობიდგან შუშის მაზრის უფროსი კოლეჟსკი სოვეტნიკი აბხაზი და ქალაქ შუშის პოლიციის ბოქაულად ნამყოფი და განჯის გუბერნიის სამმართველოში ჩარიცხული, ტიტულიარნი სოვეტნიკი ვეზირიშვილი.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

*** ყველამ უკვე უწყის, რომ ყველასაგან ცნობილმა და აწ გაქცეულმა ზიალოვმა თვისი სოლოლაკის სახლი ორგან დააგირავა მოტყუებით. ერთგან ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში სამი ათას ექვსას თუმნად და მეორეთგან ტფილისის საკრედიტო საზოგადოებაში. რასაკვირველია ზიალოვმა არც სათავად-აზნაურო ბანკში შეიტანა ფული და არც საკრედიტო საზოგადოებაში და ეს მამული დარჩა ბანკებს. საკრედიტო საზოგადოებამ ეგ მამული დაიმტკიცა წესისამებრ. სათავად-აზნაურო ბანკმა თავისს დროზე შეატყობინა უფროსს ნოტარიუსს, რომ ეგ მამული ჩვენთან არის დაგირავებული და ნუ დაუმტკიცებთ ნასყიდობის წერილსა საკრედიტო საზოგადოებასაო. უფროსმა ნოტარიუსმა მაინც დაამტკიცა და მაშინ სათავად-აზნაურო ბანკმა საჩივარი შეიტანა ოლქის სასამართლოში და ითხოვა საკრედიტო საზოგადრებას გაუუქმოს გირავნობა ზიალოვის სახლისა და აგრედვე ნასყიდობის წერილიცა და სახლი ზიალოვისა აკუთვნოს სათავად-აზნაურო ბანკსა. საქმე იმაზე იქმნა დამოკიდებული —ვისი გირაო უფრო კანონიერია: სათავად-აზნაურო ბანკისა, თუ საკრედიტო საზოგადოებისა. რადგანაც ერთის დოკუმენტებით ერთში იყო ზიალოვის სახლები დაგირავებული და სხვა დოკუმენტებით მეორეში, ამიტომაც საქმე იმაზე შედგა—ზიალოვმა თავისის ორნაირ დოკუმენტებით ვინ მოატყუა: სათავად-აზნაურო ბანკი, თუ საკრედიტო საზოგადოება. 12 ნოემბერს პალატამ გაარჩია ეს საქმე და იცნა, რომ სათავად-აზნაურო ბანკს ნამდვილის დოკუმენტებით მიუღია ზიალოვის სახლები გირაოდ და მოტყუებულა საკრედიტო საზოგადოება, რომლისათვისაც ზიალოვს წარუდგენია არასარწმუნო დოკუმენტები და ზიალოვის სახლები უკუთვნებია სათავად-აზნაურო ბანკისათვის.

ეხლა სათავად-აზნაურო ბანკს, ჩვენის ფიქრით, საბუთი აქვს აზღვევინოს საკრედიტო საზოგადოებას მთელი შემოსავალი ზიალოვის სახლებისა იმ დღიდგან, რა დღესაც დაეპატრონა წინააღმდეგ სათავად-აზნაურო ბანკისა. ამბობენ, კარგა ფული შესდგებაო, იმიტომ-რომ 1889 წლიდამ დღეს აქამომდე საკრედიტო საზოგადოებას მამული ზიალოვისა ხელთ ეჭირა და მთელს შემოსავალს თითონ იღებდა საკუთრივ. ამბობენ, თავისს კვალობაზე კარგა დიდი შემოსავალი აქვს თურმე ხსენებულს სახლსა ასე, რომ ვალს ისტუმრებს და კიდევ ბლომა და ჰრჩება ძირსაო ყოველ წლივ. ეს რომ სულ ერთმანეთს შეაკეცონ, კარგა ფული გაუხდება საკრედიტო საზოგადოებას საზღაურად, რომ სათავად აზნაურო ბანკი დააკმაყოფილოს..

*** ბატონი ონიკოვი ედავებოდა სათავად-აზნაურო ბანკს 7545 მანეთს ზარალს იმის გამო, რომ მამული ჩემ მიერ დაგირავებულიო ბანკში, საჯაროდ გასასყიდად ისე არ იყო გამოცხადებული, როგორც რიგიაო და ამიტომ 7545 მანეთი ვიზარალეო. ოლქის სასამართლომ გაარჩია ეს საქმე, მიუსაჯა ბ-ნს ონიკოვს 1962 მანეთი და დანარჩენზე უარი უთხრა.

*** კავკასიის მთავარ მართებელი გენერალ ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, საღამოს მატარებლით თავ. კურაკინითურთ ბორჯომს გაემგზავრა. მთავარ-მართებლის ვაგონმა ღამე ხაშურში გაატარა და დილის 6 საათზედ მისი ბრწყინვალება ბორჯომს მივიდა, საიდგანაც დილითვე აბასთუმანს გაემგზავრა.

*** ქუთაისის გუბერნიაში ორმოცი დღეა შეუწყვეტლივ სწვიმს. ამის გამო, როგორც კავკასიის რკინის გზის გამგეობას აუწყებენ, ამ ორმოც დღის განმავლობაში მარტო ორი დღე თურმე მუშაობდნენ რკინის გზის შეკეთებისათვის. ინჟენერებს იმედი არა აქვთ, რომ მოასწრონ ახალის ხიდების გაკეთება. არც იმისი იმედი აქვთ, ძველმა ხიდებმა გაუძლოს გაზაფხულის დიდწყლობას.

*** გუშინ, 13 ნოემბერს, ქალაქის გამგეობასა და საბჭოს კომისიას უნდა გამოეკვლია, როგორ უნდა

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

### ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ

ენავ, რამდენჯერ ავთათვის
ისარი შეგიტყორცია,
რამდენი გული გიგმირავ,
რამდენი დაგიხოცია!..
თოფსა და ხმალსა გმირობა
დღეს შენთვის დაულოცია,
ყმა-მონებისა გამოხსნაც
ღმერთს შენთვის მოულოცია!..

დ. მაჩხანელი

### „ᲘᲛᲘᲡᲘ ᲠᲐ ᲑᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ?“

(მოთხრობა)

პეტერბურგის ჩვეულებრივი ნისლიანი და ჭინჭყლიანი დღე იდგა. საღამო ხანი იყო და ნევის პროსპექტზედ მოსეირნე ხალხი ბუზივით ირეოდა. მათ შორის ვიქტორ სპირიდონიძეც იყო. იგი გამოწყობილიყო სტუდენტურს მუნდირში, ცოლისათვის ხელი მკლავს გაეყარა და ნევის პროსპექტზედ ბაასით მიაბიჯებდა.

— ნინო! ნუ თუ ვერ შეგინიშნავს ეს სისაძაგლე?! აბა შეხედე იმ კარეტას. ადამიანს გვერდით პირუტყვი ამოსჯდომია და იმითი ირთობს თავს იმ დროს, როდესაც სხვა შიმშილით ჰკვდება, ძაღლი ხავერდის ბალიშზედ ეტლში განისვენებს. ეს არის განა ბუნების ჰარმონია?!.

ოჰ, ნეტავი ნება მქონდეს დავლეწო ეხლავ ეს ეტლი და მოვუსპო შიგ მჯდომთაც სიცოცხლე. ის არ ეყოფათ, რომ თითონ ეტლში ჯდომით დასცინიან ღარიბთა და მედიდურად გადმოჰყურებენ ფეხით მოსიარულეთ, რომ კიდევ ძაღლები არ ჩაისვან და ეს დაცინვა ადამიანისა არ გააორკეცონ... ოჰ, როდის იქნება რომ ეს მუქთა მჭამლები დალატაკდნენ და ლუკმა ენატრებოდეთ!?.

— რად ამბობ მაგას, ვიქტორ, ის კი არ უნდა ინატრო, რომ ისინი დალარიბდნენ, არამედ ის, რომ ღარიბები დამდიდრდნენ. განა მდიდრების ბრალია, რომ ისინი მდიდრები არიან?..

— საქმე ის არის, რომ ისინი პირუტყვულად სცხოვრობენ და როცა დალარიბდებიან, იქნება მაშინ მოტყდნენ და კაცურად იცხოვრონ...

ნინო კიდევ ბევრს ელაპარაკებოდა ვიქტორს, მაგრამ იგი აღარას უპასუხებდა. ნინო სხვა რაღაც ფიქრმა წაიღო შორს, ვიქტორი-კი ნევის პროსპექტზედ მოძრაობას თვალს ადევნებდა და საითაც ეტლები მიდი-მოდიოდა, ვიქტორიც იქით იცქირებოდა. ეტლი ეტლს მისდევდა და შიგ წითელ-ყვითელში გამოწყობილი ხასები (რომელთა რიცხვი პეტერბურგში „ლეგიონია“), კეკლუცობდნენ და ყელ-ყელაობდნენ. ამათ რომ ჰხედავდა სპირიდონიძე, სიბრაზით გული ყელში ებჯინებოდა და გამწარებული ენას იკვნეტდა.

— აგერ ჩვენი სახლიც, მივედით კიდეც, უთხრა ნინომ ვიქტორს და იგი თითქოს ძილისაგან გამოაფხიზლა. ნინომ შეატყო სახეზედ, რომ ვიქტორი მთლად გაყვითლებულიყო, მაგრამ არაფერი უთხრა, იფიქრა: შეიძლება შესცივდაო.

— ხათაბალაა, ღმერთმანი! ვანოს იმედი მქონდა, ფულები ექმნება და გამოვართმევ მეთქი და იმასაც არა აქვს, ხვალ-კი სახლის ქირა გვაქვს მისაცემი, აღარც სადილი გვაქვს და მალე მეორე „სემესტრის“ ფულიც უნდა წარვადგინო უნივერსიტეტში, თორემ ლექციების მოსმენის ნებას არ მომცემენ და გამოცდის ნებას არ დამრთავენ. აღარ ვიცი, ეხლა ვიღას მივმართო. ან-კი ვიღას ვეტყვი, თითქმის ყველასი გვმართებს...

— შეიარე, კაცო, სტუდენტების კასსაში, იქნება ჰქონდეთ რამე და გამოართვი. ჩვენი გარემოება აუხსენი.

— ჯერ ეს ერთი, რომ კასაში ფული არ არის. გამგეობის წევრები მიირიგ-მოირიგებენ ხოლმე, იქ ნათლი-მამობაა გამეფებული; მეორეც ესა, იმ დღეს კრებაზედ გადაეწყვიტათ, ცოლიანს სტუდენტებს დახმარება აღარ აღმოუჩინოთო, ესეც რომ არ იყოს, მე კრებაზედ ბევრჯელ გამომითქვამს ის აზრი, რომ დამხმარებელი კასა არ არის საჭირო და საზოგადოებას ტყუილად ვაწუხებთ-მეთქი. ამის შემდეგ მე იქ ვეღარ მივალ და ფულებს ვერა ვთხოვ.

— არა უშავს რა, ვიქტორ, ღმერთი მოწყალეა, გათენდეს დილა და არ იქნება, რომ არსად არ ვიშოვოთ. რა ყურები ჩამოგიყრია? „ქირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო“, ხომ გაგიგონია. თუმცა ნინო ასე ამხნევებდა ვიქტორს, მაგრამ ამავე დროს თითონაც დიდს საგონებელს იყო მიცემული: მართლაც-და, რა გვეშველება უფულოდაო?!

***

ვიქტორის ბინის ქვემო სართულში სახლის პატრონი დაბადების დღეს იხდიდა და ერთი ღრიანცელი გაჰქონდათ. არაყით გაძღენთილი სტუმრები შეზარხოშებულიყვნენ, ბევრი უგონოთ დამთვრალიყო და ყველა ერთად მღეროდა და სცეკვავდნენ.

— ამათი „ტრიპაკა“ ხომ კაცს აღარ მოასვენებს. ზოგს ცარიელი პური ენატრება და ზოგი-კი ასე უაზროდ ჰფანტავს ფულებს. იმათი სიხარული მე ნაღველს მიორკეცებს.

— უცნაური მსჯელობა გაქვს დღეს ვიქტორ. ჩვენც რომ გვქონდეს მოჰარბებული, ჩვენც ასე ვიზადით: მხიარულობა ყველას უნდა. რა ჰქმნან, სტუმრები ჰყავთ და მხიარულობენ.

— თავის დღეშიაც არ ვიზამდით! დღეობის გადახდა სისულელეა...

ამ ლაპარაკში ძილის დროც მოვიდა. ნინოს მალე ჩაეძინა, მაგრამ ვიქტორს-კი ძილი აღარ ეკარებოდა. იმისი ფიქრი მხოლოდ იმას გაეტაცა: ხვალ ფულები სად უნდა ვიშოვნოვო. „კაცი მეფეა ყოველის არსებულისა“-ო! ეს არის მეფობა?! მეფე კი არა, კაცი პირუტყვზედაც უარესია. დღეს არ იყო, ძაღლი ოქროს საყელოთი იყო მორთული, ეტლში განისვენებდა და მე-კი, ადამიანი, აქ ვიტანჯები მხოლოდ ერთის ლუკმა-პურისათვის, და კიდევ რამდენი ათასი ჩემისთანა“!!.

—

ვიქტორ სპირიდონიძე იმერეთის გლეხის შვილი იყო. სწავლა ქ. ქუთაისის გიმნაზიაში დაამთავრა და შემდეგ უნივერსიტეტში შევიდა სწავლის განსაგრძობად. ვიქტორი შეხედულობით კარგი წარმოსადეგი ყმაწვილი იყო: შავგვრემანი, შავთვალ-წარბა, მუდამ შუბლშეკრული და სახე მოღვრემილი. გარემოებას, ათასნაირს გაჭირვებას, შევიწროვებას თავისი დაღი და ბეჭედი უკვე დაესვა იმისს სახეზედ და ყველა შეატყობდა, რომ რაღაცა ცუდს გარემოებაში უნდა ყოფილიყო ჩავარდნილი. ამასთან იგი გიმნაზიასა და უნივერსიტეტშიაც მეგობრების გამტანი ყმაწვილი იყო; დინჯი და მოსაზრებიანი, ახალის

შეიცვალოს პურის ნიხრი. ამისათვის გამოაცხობინეს პური და დარწმუნდნენ, რომ პირველის ხარისხის პურს შეიძლება დააკლონ გირვანქაზე 1 კაპ. მეორე ხარისხის პურის ფასი შეუცვლელად დარჩეს და მესამისას ცოტათი დააკლდეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მეფურნეები ისეთს პურს არ აცხობენ, როგორსაც ქალაქის გამგეობა გამოაცხობინებდა, მეფურნეები მესამე ხარისხის პურში ურევენ სიმინდს, ქატოს და სხვ. გარდა ამისა, პურს კარგად არ აცხობენ, რომ წონაში მეტი მოვიდეს. თუ გამგეობა მაინც მოუმატებს ფასს მესამე ხარისხის პურს, სავალდებულოა, თვალ-ყური მაინც ადევნოს, რომ კარგად გამომცხვარი იყოს პური.

⁂ შაბათს, 15 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია კრება ქალაქის თვით-მართველობის მოხელეთა შემნახველ-გამსესხებელ კასსის წევრთა. კრება განიხილავს კასსის წლიურს ანგარიშს და სარევიზიო კომისიის მოხსენებას, დაადგენს, რამდენი პროცენტი მისცეს შესანახად შემოტანილს ფულზე და რამდენი გამოართვას სესხად აღებულზე, გადასწყვეტს რაოდენობას მომავალ წელს გასასესხებელ ფულისას და დაამტკიცებს ხარჯთ-აღრიცხვას. კრება აირჩევს მმართველობის წევრთ, სარევიზიო კომისიას, კანდიდატებს და კასსირს. დასასრულ კრება განიხილავს კასსის წევრებად ნამყოფთა თხოვნებს, რომელთაც ხელ-მეორედ ჰსურთ კასსის წევრობა.

⁂ მთავრობამ შეიწყნარა თურმე ქართლ-კახეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ სამრევლო სასწავლებლების შენახვისათვის ხაზინის მხრივ 4,800 მან. გადაიდოსო.

⁂ გუშინ, 13 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებას ქ. გორში თავ. ნ. დ. დიასამიძის მოკვლის საქმის გარჩევა უნდა დაეწყო.

⁂ ბეთანიის მონასტრის შენობა, რომელიც მე-X საუკუნეს ააგეს თავ. ორბელიანთ, ამ ჟამად მეტის-მეტად დაზიანდა. ეხლახან ერთი ქართველი ბერი და ორი მორჩილი დასახლდნენ თურმე იქ და განზრახვა აქვთ მონასტერი განაახლონ როგორმე. ჯერჯერობით, ახლად აშენებულ ნიშში ასრულებენ წირვა-ლოცვასაო, სწერს გაზ. „ახ. მიმოხ.“

⁂ გაზ. „ახ. მიმოხ.“-ს ხარკოვიდგან ატყობინებენ, რომ 20 ნოემბერს საოპერო თეატრის დარბაზში კავკასიის საღამო იქმნება გამართული უნივერსიტეტის ქართველ და სომეხ სტუდენტთა სასარგებლოდაო. საღამოზედ, სხვათა შორის, გამართულ იქმნება ლეკური და კინტოური. კონცერტზედ უმთავრესად ქართულსა და სომხურს სიმღერებს ასრულებენ ოპერის არტისტები.

⁂ გაზ. „ტფ. ფურც.“-ს სიტყვით კავკასიაში სამთო სასწავლებლის დასაარსებლად მეურნეობის სამინისტრომ უფრო შესაფერ ადგილად ქალაქი ბაქო იცნო, რადგანაც იქ ნავთის წარმოება არის და მოსწავლეებს პრაქტიკულად შეუძლიანთ იმეცადინონო.

⁂ ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში გამოუცხადა თავის მოხელეებს, რომ უმთავრესი ყურადღება ქალაქის გარდასახადების მოკრებას მიაქციეთო. დაახლოვებით სახლის პატრონებზედ შესატანი ფული 100,000 მანეთია დარჩენილი.

⁂ ტფილისის მცხოვრებელმა, დროებით ცხინვალში მყოფმა გიგუცა არუთინოვმა დანით მძიმედ დასჭრა თურმე თავისივე მამა ვანო არუთინოვი.

⁂ 15 სექტემბრიდგან ბაზარში უკვე ღორის ხორცი იყიდება და ქალაქის გამგეობას-კი ჯერ ნიხრი არ დაუწესებია. მეყასბეები სარგებლობენ ამითი და გირვანქაში თითქმის 15 კაპ. იღებენ, პირდა-პირ აცხადებენ, რომ ნიხრი არ არის დადებული და რამდენიც ჩვენ გვინდა, იმდენს გამოვართმევთ მუშტარსაო. („ტფ. ფურც.“).

⁂ ოზურგეთიდგან სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“-ს, რომ აქ ქალაქს შეეკითხნენ, რა შემწეობა შეუძლიან ქ. ოზურგეთს აღმოუჩინოს აქ დასაარსებელ პროგიმნაზიას. 6 ნოემბერს ეს საქმე განიხილეს ქალაქის რწმუნებულებმა და გადასწყვიტეს, თუ ვინიცობაა ოზურგეთში პროგიმნაზია დაარსდა, ქალაქმა გადასდოს პროგიმნაზიისთვის ყოველ წლივ 2000 მანათი და გარდა ამისა უფასოდ დაუთმოს საჭირო ადგილი პროგიმნაზიის შენობას. ამასთანავე სთქვეს, იმედია, შენობის აგებაში მთელის მაზრის მცხოვრებნი დაგვეხმარებიანო. ამ გვარად იმედია, პროგიმნაზიის შენობისათვის საჭირო ხარჯს თვით ადგილობრივი მცხოვრებნი იკისრებენ.

⁂ ქუთაისი. 10 ნოემბერს კრებაზედ ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა მომავალ რეალურ სასწავლებელს დაუთმოს გულძევის მიწის ერთი ნაწილი, ხოლო მეორეზედ, სადაც ეხლა ქალაქის მოედანია, ბაღი გააშენოს.

⁂ ბათუმი. მთელი ბათუმია ამ ჟამად და სახპეტოვის ფქვილის ამბავი. როგორც ვიცით, სასამართლომ სახპეტოვს, დამნაშავის დაუსწრებლად სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. აი, ზოგიერთი ცნობა ამავე საქმის შესახებ. სახპეტოვის საწყობი ქალაქის სასანიტარო მკურნალმა მხეიძემ შეამოწმა, უვარგისად იცნო ფქვილი და საწყობი დაჰბეჭდა ამა წლის 25 სექტემბერს. 8 ოქტომბერს მასვე ხელ-მეორედ გაუსინჯავს საწყობი და უფრო ძლიერ უვარგისად ცნობილი 127 ტომარა ფქვილი იქ აღარ აღმოჩენილა. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც ეს დაწუნებული ფქვილი მიიჩქმალა, თვე ნახევარზედ მეტს გაუვლია. ეხლა ბათუმში ხმა დადის, რომ სიმონოვი, გამყიდველი ამ ფქვილისა, სცდილობს განსაკუთრებულს კომისიას კვლავ შეამოწმებინოს ფქვილი და უცხადებს, რომ ეს ფქვილი არ გამიყიდნია, მევე მაქვსო. ამის შესახებ გაზ. „Черном. Вѣст.“-ი ამბობს, ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ეს 127 ტომარა ფქვილი დიდი ხანია გაგზავნილია „ადგილსა არა შორეულსა“, ბორჩხასა, სურამსა და სხვაგანაო. ყოველსავე ამას უნდა დავსძინოთ, რომ სახპეტოვს უკვე შეუტანია პასუხი სასამართლოში და უვარგისის ფქვილის საქმე განსახილველად ხელმეორედ არის დანიშნული 17 ამ ნოემბრისათვის.

⁂ ჩოხატაური. ჩვენის სოფლის სამკურნალოს ფერშალი ანტონ რამიშვილი საჩხერის სამკურნალოს უფროსს ფერშლად გადაიყვანეს. რამიშვილის მოშორება ჩვენისა და გარეშემო სოფლებისთვის ძალიან დიდი დასაკლისია. თავისის დაუღალავის მუყაითობით, გულ-შემატკივრობითა და ცოდნით იგი დიდს სამსახურს უწევდა ღარიბსა და უმწეო ხალხს. რამიშვილმა უკვე დაიმსახურა ხალხის პატივის ცემა და ამიტომ იმის მოშორება ყველას ეწყინა.

## ქალაქის საბჭო.

12 ნოემბერი

ამ კრებაზედ საბჭომ მხოლოდ ერთი საგანი განიხილა, სახელდობრ გამგეობის მოხსენება ქალაქის საავადმყოფოთათვის საზოგადო საავადმყოფო გარდასახადის შემოღების შესახებ. ეს საგანი არ ახალია, —ძველია. პირველად იგი 1891 წელს საბჭოში ექიმმა მალინინმა აღძრა. საბჭომ მაშინ მოიწონა მალინინის აზრი და სასანიტარო კომისიას გადასცა განსახილველად და შესამუშავებლად. კომისია ცნობების შეკრებას შეუდგა და ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ გარდასახადი კაცზედ 1 მან. 70 კაპ. უნდა გაეწეროს, ხოლო თვით საავადმყოფო 50 ავადმყოფისათვის უნდა დაარსდესო. შარშან, 1896 წელს, საბჭომ ხელ-ახლად მოისმინა ეს მოხსენება და სასანიტარო კომისიის აზრი ამ მოხსენების შესახებ, მაგრამ რადგანაც საგანი სავსებით არ იყო შემუშავებული, საბჭომ ახლა გამგეობას გადასცა გამოსაკვლევად და თავისის აზრის წარმოსათქმელად. როგორც გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, მომავალს საავადმყოფოს შენახვას 130,000 მანეთი დასჭირდება. მაგრამ მხოლოდ 116,000 მანეთი უნდა ვიანგარიშოთ, რადგანაც დანარჩენს თვით საავადმყოფო შემოიტანს. ამ რიგად, ახალის საავადმყოფო გარდასახადის შეწეობით 116,000 მანეთი უნდა იქმნას შეკრებილი, გამგეობა ისეთ მკვიდრთ, რომელთაც გარდასახადის გადება შეუძლიანთ, სულ 48,500 სულს ანგარიშობს. ამ რიგად თითომ რომ 2 მან. 40 კაპ. გაიღოს, იმდენი შესდგება, რამდენიც საავადმყოფოს შენახვისათვის არის საჭირო. გამგეობა იმ დასკვნას დასდგომია, რომ საჭიროა საბჭომ იშუამდგომლოს, რათა შემოღებულ იქმნას საზოგადო საავადმყოფო გარდა-

---

აზრებისა და მიმართულებისა, ეტანებოდა წიგნებისა და ჟურნალ გაზეთების კითხვას, განვითარებას და ამხანაგობასაც ძალიან უყვარდა და პატივსა სცემდა.

ჯერ ისევ გიმნაზიის მერვე კლასში იყო, ისევ სისხლი უჩქეფდა და უდუღდა, როდესაც ექვთიმიძის ქალი ნინო მოეწონა და შეუყვარდა. ეს ის დრო იყო ვიქტორისათვის, როდესაც ვნებათა ღელვას ფრთები ჰქონდა გაშლილი და მეორე ნახევარს—გონებას ჰჩრდილამდა, როდესაც პირველი აბნელებდა მეორეს და სჩაგრავდა. მოეწონა და მაშინვე პირობა მისცა: ცოლად უნდა გამომყვეო. ეს ის ხანა იყო, ის სიყვარული, რომელსაც „გატაცებას“ ეძახიან, სადაც მხოლოდ გრძნობა არის ხოლმე მომქმედი და გონება კი არსად სჩანს და სადაც შორს-გამჭვრეტელობა და მოსაზრებანი მომავალის შესახებ სდუმან ხოლმე. ვიქტორი ჯერ თვრამეტის წლისა იყო და ყველაფერი სწამდა: ნინო იქნება სწავლის დროს ჩემი გამამხნევებელი და წამქეზებელი, ჩემი მეგობარი, რომელსაც ჩემი ავი და კარგი განვუზიარე და რომელიც თანაგრძნობის თაიგულებს მიძღვნის ხოლმეო. უფრო მეტად გავუღვიძებ წიგნების კითხვის სურვილს, ჩავუნერგავ ყველა იმას, რითაც მე უნდა ვისულდგმულო, და ცხოვრების ჭაპანს ერთად დავუწყებთ ქიმვასაო“. იტყოდა ხოლმე ვიქტორი მაშინ, როდესაც ათასი იმედი უღვიოდა გულში, ყველაფერი სწამდა და თვით ცხოვრების დაკვირვებას-კი უფრთხოდა; არ იცოდა, რომ ცხოვრება თავისას იზამდა და ცრუ იმედებს, ოცნებაზედ აშენებულს განუბნევდა, განუფანტავდა...

ნინოც სწორედ ასევე ჰფიქრობდა და ვიქტორის ოცნებას ტაშს უკრავდა. გაათავა ვიქტორმა გიმნაზია და ისე უნდოდა გაეთავებინა უნივერსიტეტი, რომ ჯვარი მერე დაეწერა, მაგრამ გული-კი აღარ ბცლიდა გონებას, არ უნდოდა ნინოს დაშორებოდა და შეეპარა ის აზრი, რომ ჯვარი ეხლავე დაეწერა, თუმცა ჯერკი არ გადაეწყვიტა.

— დავიწეროთ ჯვარი, ჩემო ვიქტორ, და ისე წავიდეთ ერთად რუსეთს. შენი გულისათვის ყელაფერს ავიტან, თუ გაგვიჭირდება, მოახლედ დავდგები, ვიშრომებ, ვიმუშავებ და ისე ვისაზრდოკებთ თავს. ეტყოდა ხოლმე ნინო ვიქტორს და კიდეც სჯეროდა ყველა ეს: ნინოს ასე ეგონა, ქვეყანა ია-ვარდით არის დაფენილი და ჩვენ მხოლოდ იმათის სურნელოვანების ყნოსვა და კრეფვა-ღა დაგვეჭირდებაო. ნინო სხვა-დასხვა ერთგვარ რომანებიდგან ამოკრებილ აზრებით სჯიდა და თვით ცხოვრების ნაღველი კი იმისთვის უცნობი იყო და უცხო. არ იცოდა, რომ ცხოვრება თავისს საკუთარს კანონებს ემორჩილება და ნინოს ასეთი მსჯელობა ამ კანონებს არ ეთანხმებოდა. სურვილი შეასრულეს. ჯვარი დაიწერეს და ორივენი რუსეთისაკენ გაემგზავრნენ, ქ. მ—ს.

პირველმა გატაცებამაც გაიარა. იგი მეგობრულ სიყვარულად შეიცვალა, სადაც მარტო გრძნობა-კი არაა,—გონებასაც წილი უდევს. ვიქტორს სახლიდგან რის ვაი ვაგლახით იმდენი ფული მოსდიოდა, რამდენიც მხოლოდ თითონ ეყოფოდა და ორივესათვის კი ძალიან ცოტა იყო. ასე რომ ცხოვრება მალე გაუძნელდათ და მასთან მრავალგვარი ნაკლულევანებაც მალე აღმოუჩნდათ, რომელზედაც წინად არასოდეს არ უფიქრიათ. ცხოვრება თავისას არ იშლიდა, მოთხოვნილება მრავალი იყო, ნინო კი მოახლედ ვერსად დადგა. როდესაც ასეთს ყოფაში ჩავარდნენ, ნინოს ამის შესახებ არც კი უფიქრნია, შეუძლებლად ეჩვენებოდა. ვიქტორი საგონებელში ჩააგდო ამ გარემოებამ და სცდილობდა რითიმე გამოეკეთებინა საქმე. სწავლაზედაც გული აუცრუვდა: ის რომ ლექციებს აიღებდა საკითხავად, უცებ მოაგონდებოდა ათასი ნაკლულევანება ხან სახლის ქირა, ხან სადილი, სწავლის (ლექციების) ფულის შეტანა, მალე გაანებებდა ხოლმე კითხვას ხელს და ფიქრს მიეცემოდა...

უნივერსიტეტში სიარულსაც უკლო. ზოგჯერ გაიფიქრებდა, ნინოს სახლში გავგზავნიო, მაგრამ ვერა სძლებდა უიმისოთ: გაგიჟებით უყვარდა და მისი მოშორება უფრო სატანჯველი იქმნებოდა მისთვის, ამასთან ნინოსაც არ უნდოდა ვიქტორის მოშორება. ნინო მაინც ეტყოდა ხოლმე: მოდი და შინ წავალ მე, მაშინ შენ, როგორც იქნება, თავს გაიტან, თორემ დიდად გიშლი ხელსაო. მაგრამ ვიქტორი ისე შეეჩვია ნინოსთან ერთად ცხოვრებას, რომ მოშორებას ვერ წარმოიდგენდა და ამასთან ძალიან გულ ჩვილიც იყო, ასე რომ უნივერსიტეტშიაც რომ წავიდოდა, მაშინაც-კი ნახევარი გული და ფიქრი იმისაკენ ჰქონდა ხოლმე მიქცეული.

რადგანაც ასე იყო საქმე და ლექციების ფულიც არა ჰქონდა ხოლმე ვიქტორს შესატანად, ამისათვის შინისაკენ (საქართველოსკენ) მარტშივე გაემგზავრებოდნენ და გამოცდამდის აღარ იცდიდნენ.

პირველს წელს სამკურნალო—ფაკულტეტზედ იყო. მეორე წელს გამოიცვალა—და იურიდიულზედ გადავიდა, მაინც პირველს კურსს ვერ გადაახტა. ძალა უნებურად მესამე ფაკულტეტი უნდა გამოეცვალა. გადაწყვიტა სხვა ქალაქში გადასულიყო და ქ. მ—დგან პეტერბურგის უნივერსიტეტში გადაეწერა. ამოირჩია აღმოსავლეთის ენების შესწავლა. რასაკვირველია, ქალაქის გამოცვლა გარემოებას ბევრით არაფრით გააუმჯობესებდა და ამისათვის იგივე გაჭირვება და იგივე შევიწროება იქაც დახვდა.

ვიქტორი ჯავრისაგან ძალიან გახდა: რა ექნა, ნინოს მოშორება არ შეეძლო, ვერ გაჰგზავნიდა სახლში, დასტოვებდა თავისთან-და, მაშინ თითონაც უნდა ტანჯულიყო და ისიც ეტანჯა—შიმშილით შეეწუხებინა, ამასთან სწავლითაც უკან დგებოდა და ვერას აკეთებდა. ვიქტორს კვლავ გაუელვებდა გონებაში, ნინოს გავგზავნი სახლში, მაგრამ გონება რომ ამას იტყოდა, გრძნობა მეორეს გაიძახოდა. ასტყდებოდა ბრძოლა გონებისა გულთან და ბოლოს მაინც გრძნობა აჯობებდა და გონების საფუძვლიანს ძახილს ხმას შეაწყვეტინებდა, დასთურგნავდა.

ამ ბრძოლამ ბევრი ღამე გაათენებინა ვიქტორს და ბევრი მწარე წვეთი აყლაპა, მაგრამ მაინც მეგობრის დროებით დატოვება ვერ გარდასწყვიტა. ისევ იმას არჩევდა, ნინო გვერდით მყავდეს და რაც მოგვივა, მოგვივიდესო... გაიარა ნახევარმა წელიწადმა და უნივერსიტეტში ორჯელ არ გაუვლია: უნდოდა სულ ნინოს გვერდით ყოფილიყო. ამავე დროს მეცადინეობაც აღარ შეეძლო სახლში მაინც: ერთის მხრით ფიქრი „არსობითის პურისა“ და მეორეს მხრით ნინოს სიყვარული გულს უცრუებდა.

ალ. სოლოღაშვილი

(დასასრული იქნება)

სახადი, ხოლო თუ ასეთის საზოგადო გარდასახადის ნება-რთვა არ მიილო, მაშინ კერძო გარდასახადი მაინც უნდა იქმნას შემოღებულიო. გარდა ამისა, გამგეობის აზრით გარდასახადი უნდა გაეწეროს ყველა ტფილისის მცხოვრებს,—თექვსმეტის წლისაზედ არა ნაკლებს, ქალსა და კაცს, წოდებისა და მდგომარეობის განურჩევლად.

ამ მოხსენებამ ცოტა ოდენი კამათი გამოიწვია ხმოსანთა შორის. ზევრმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ მოხსენებაში მცხოვრებთა, ავადმყოფთა, ხარჯის გადამხდელთა, რიცხვი სათუოდ არის მოყვანილი, საჭირო იყო, რომ გამგეობას ამ 1897 წლის მცხოვრებთა აღრიცხვით ესარგებლა და ცნობები იქიდგან ამოეკრიბაო. გამგეობამ პასუხად ისა სთქვა, რომ კანონი ჯერ ნებას არავის აძლევს ამ აღრიცხვით ისარგებლოსო. ამას გარდა, ხმოსანის მიტკევიჩის აზრით, გარდასახადი 21 წლისაზედ ნაკლებს არ უნდა გამოერთვას, რადგანაც ბევრი ოცდა ერთს წლამდე თავისის ოჯლით არა სცხოვრობს და ამიტომ გარდახდა არ შეუძლიანო.

ბოლოს საბჭომ დაადგინა: 1, შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ტფილისში საზოგადო საავადმყოფო გადასახადი იქმნას შემოღებული: 2, გარდასახადი არ უნდა აღემატებოდეს მამა-კაცებისათვის 2 მანეთს, ხოლო დედაკაცისათვის 1 მ. 50 კაპ. და 3, გადასცეს მოხსენება საფინანსო კომისიის და გამგეობის შეერთებულს კრებულს იმის გამოსარკვევად, თუ რა ხელობისა და შეძლების კაცებს არ უნდა დაედოს გარდასახადი და ქალაქის კასსიდგან რამდენი უნდა იქმნას გადადებული საავადმყოფოსათვის. ამასთანავე დაავალოს იმათვე, რომ თავიანთი აზრი ორის კვირის განმავლობაში წარმოუდგინონ საბჭოს.

კრება $10^1/_2$ საათზედ დაიშალა.

---

### წერილი გურიიდგან

11 ნოემბერი.

ამას წინად გაცნობეთ, თუ რა დიდი ზარალი და შეწუხება მოგვაყენა ადრეულმა ზამთარმა, მაგრამ იმდენად გონება-აფორიაქებული გახლდით მაშინ ამ უჩვეულო მოვლენის გამო, რომ სრულიად დამავიწყდა ერთი თვალ-საჩინო გარემოება, რომელიც, უეჭველია, ჩვენს კონებრივად დაქვეითებულს ყოფა-ცხოვრებას სულ მიწასთან გაასწორებს. ეს ის გარემოება გახლავთ, რომ წელს ჩვენი მეთუთუნენი ხელ-აღებით უნდა გამოეთხოვნენ თავიანთ ნაჭირნახულევს. მოგეხსენებათ, რომ თუთუნის მოსავლის შეკრება ნაწილ-ნაწილად ხდება წელიწადში სამჯერ. ამას ჩვენში „თუთუნის შეტეხას" ეძახიან. პირველი მოსავალი, ანუ „ძირის თუთუნი" ღირსებით უკანასნელია. საუკეთესო თუთუნი მოდის მეორე და მესამე „შეტეხის" დროს, განსაკუთრებით განთქმულია მესამე „შეტეხის", ანუ „წვერის თუთუნი". წელს რაკი ისეთი უკუღმართი და ავდრიანი შემოდგომა იყო, ზოგს მეორე „შეტეხაც" არ მოუსწრია, ხოლო მესამედ აღარავის აღარ „შეუტეხია". გამოდარებას ელოდნენ, რადგანაც ავდარში არას გზით არ შეიძლება თუთუნის შეტეხა. ხოლო გამოდარების ნაცვლად უკვე უწყით, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა თავს. თოვლი იმ ადგილებში მეტი დასდო, სადაც თუთუნის მოყვანას უფრო ბლომად მისდევენ. ამ ნაირად ბუნების ახირებულობამ წელს ჩვენი მეთუთუნენი ცალიერზედ დასვა და ეს ერთად-ერთი შემოსავლიანი წარმოებაც ხელიდგან გამოაცალა. კადეც რომ გამოიდაროს, რის იმედიც დაკარგული გვაქვს, და თოვლი აიღოს, თუთუნი მაინც ამ თავითვე დაკარგულად უნდა ვიგულოთ, ვინაიდგან გამოცდილებით იციან, რომ თუთუნს „თოვლი დასუნავს" თუ არა, აღარ ვარგა. აღარც ფერი ექნება თურმე სავარგისი და არც გემო. ერთის სიტყვით, წლევანდელმა ადრეულმა თოვლმა იმდენი ზარალი ჰქმნა, რამდენიც არ უქმნია შარშანდელ ხანგრძლივ ზამთარს და შარშანწინდელ წყალდიდობას ერთად.

რადა ეს უბედურება ეჭირვებოდა ჩვენს უიმისოდაც გაჩანაგებულს მგომარეობას. სახელმწიფო გარდასახადი აქამდე სანახევროდ მოუგროვებელია. საადგილ-მამულო ბაჟი რამდენისამე წლის „ნედოიმკად" არის დარჩენილი, ხოლო იმედი და სახსარი ფულის შოვნისა ყოვლის მხრით გასწყდა. იმედია, ქვეყნის პატრონნი გულმტკივნეულობით მოეპყრობიან ამ ჩვენს საერთო გაჭირვებას და რომელსამე საშეღავათო საშუალებას გამოძებნიან და ამის შესახებ უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობას აღძრენ.

—

რადგანაც სიტყვამ მოიტანა, არ შემიძლია ჩვენ კეთილის-მყოფელთა გულშემატკივრობის ერთი ნიმუში აქვე არ აღვნიშნო. ამას წინად, ვგონებ, 1892 წელში ჯარის-კაცად გასაწვევთა კენჭის ყრა იმ უბნებში მოახდინეს, რომელ უბნიდამაც იყვნენ გასაწვევნი, სახელდობრ ოზურგეთში, ჩოხატაურში და ლანჩხუთში. ამ ღვთისნიერის განკარგულებისათვის დიდად მადლობელნი იყვნენ მკვიდრნი და ხელ-აღპყრობით ავედრებდნენ ღმერთს იმათს ბედნიერებას, ვინც ეს კეთილი საქმე ითავა და მკვიდრთა ფეხებს და ჯიბეებს განსაცდელი გაუადვილა. მაგრამ არ ვიცი რა ჯადოქრობით და თილისმით, შემდეგ წლებში ყველანი ისევ ოზურგეთში დაიბარეს და მკვიდრთა ფეხები და ჯიბეები ხელ-ახლა განსაცდელში ჩავარდა. წელს მაინც ისეთი დარები იყო და არის კენჭის ყრის დროს, რომ დაშორებულ სოფლებიდგან ოზურგეთში გამგზავრება ნამდვილი გაწირვაა სიცოცხლისა. ცუდის ამინდების გამო არა თუ მოზრდილ მდინარეებზედ, არამედ პატარა „ღელეებზედაც" უხიფათოდ და უმარცხოდ გასვლა შეუძლებელია. ხოლო ასეთი ღელე-მდინარეები ჩვენში აურაცხელია და აურაცხელ-ჯერ უნდა მოუხდეს საწყალ კაცს „სიკვდილის თვალზე ალება", რომ ოზურგეთამდე მიაღწიოს და მერმე იქიდგან სახლში დაბრუნდეს.

ესეც ჩვენებურის გულშემატკივრობის ნამდვილი სურათი.

N

---

### წერილი სამეგრელოდგან

9 ნოემბერი.

ნათქვამია: „უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო". სწორედ ასე მოუვიდა წელს მთელს სამეგრელოს მცხოვრებთ. ჯერ იყო ‑ ბუნება ისე გაძუნწდა და გადუხჭირდა, რომ ხვნათესვის დროს ერთი ხეირიანი წვიმა არ მოსულა და საბრალო მუშაკაცს არ შეეძლო დროზედ მარცვალი მიეწვდინა მიწისათვის. მხოლოდ მაისის შუა რიცხვებში ცამ წყალობა მოუვლინა ხალხს და ის იყო კიდეც ყველა მუშაობას შეუდგა, მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა მხვნელ მთესველს და მიწაც გაგვალვა, რის გამოც უმეტესი ნაწილი ყანებისა ივნისის თვის პირველ რიცხვებში რისვაი-ვაგლახითა და ჭაპან-წყვეტით დაითესა. ამ გვარად წელს სამეგრელოში, სიმინდი, ღომი, ფეტვი და სხვა გვიან დაითესა, ამ გვარ ჭირნახულისათვის, რასაკვირველია, საჭირო იყო დროზედ ცვარ-ნამი, მაგრამ სად იყო. ამის ნაცვლად ხშირად ამოვარდებოდა ხოლმე აღმოსავლეთის მძლავრი და ღონიერი ქარი, რომელიც უამისოდაც გაფუჭებულს ჭირნახულს მილეწ-მოლეწდა.

ახლა არის-და, ამ შემოდგომაზედ, როდესაც მოწევა იყო ჭირნახულისა, ცამ პირი მოიხსნა და წამოუშინა კოკა-პირული წვიმები. სამეგრელოში პირველ ნაჭირნახულევის მოსაწევ თვედ ოქტომბერი ითვლება, მაგრამ ბალა ის არის, რომ პირველ ოქტომბრიდგან ყოველ დღე განუწყვეტლივ წვიმები მოდის, რომელიც დიდად ხელს უშლის სიმინდის მოწევას. ზოგიერთებმა ნოემბრისთვის გადადვეს სიმინდის მოტეხვა, მაგრამ ესეც კვერს უკრავს ოქტომბერს და ლამის სიმინდი, თუ სხვა დალპეს ამდენის წვიმებით. ჩვენი მხარე მთლად ისეა ატალახიანებული, რომ სოფლიდგან-სოფლად მგზავრობა ძალიან გასაჭირია, თუნდ ბედაურის პატრონიც იყოთ. ერთი სიტყვით, შესაბრალისია საწყალი მუშა-კაცი! ვინც ბუნებას გაუმკლავდა და წვიმას ბრძოლა დაუწყო, ის წუმპეში ამოთხუპნულს ღორს დამსგავსებია. ვინ იცის გამოიდარებს თუ არა და სიმინდი-კი სულ დალპა და გაფუჭდა. სიმინდი სიმინდია, მაგრამ უბედურება მეორე ის არის, რომ ადგილ-ადგილი ყურძენი მოუკრეფავია ჯერ. გამუდმებულს წვიმებს იმდენი არ გაუფუჭებია ყურძენი, რამდენიც ოქტომბრის უკანასკნელმა და ნოემბრის თვის პირველ რიცხვებში მოსულ თოვლმა. მართლაც, ამ დროს ისეთი თოვლი მოვიდა, რომ ხეებს ტოტები შემოამტვრია. უდროო დროს მოსულ თოვლს ხეხილებმა, რომელთაც ჯერ ფოთლები არ ჩამოსცვივნია, ვერ გაუძლო და შტოები და ტოტები დაემტვრა. ყურძენსაც მარცვლები გააყრევინა და ისე სცვივა, როგორც პანტა. უფრო მთა-გორიანი და ვაკე ადგილები დააზარალა თოვლმა. ვაკე ადგილებში ზოგან თითქმის ერთ ადლამდე თოვლი დასდო...

საზოგადოდ წელს ვაზმა, ვაკე ადგილებში ბლომად მოისხა; ბარად-კი ზოგიერთებს საფელამუშეც არ მოსვლია. ბარელებს ვაკელების იმედი ჰქონდა ღვინისა, მაგრამ აქაც იმედი გაუნიორწყალდათ. არ ვიცით, წრევანდელი ღვინო როგორი იქნება, რადგანაც მთელმა შემოდგომამ ისე განვლო, რომ ორი მზიანი დღე არა ჰღირსებია ყურძენსა. ვაკე ადგილებში ისეთის ღირსების ადესის ღვინო დგება, რომ ძნელად გაარჩევს კაცი იმერულ ღვინოსაგან. ეს იმიტომ, რომ ვიდრე ყურძნის მარცვალი არ დასჭკნება და ცვივნას არ დაიწყებს, არა კრეფენ. ღვინოს ორ გვარს აყენებენ: თეთრსა და წითელს. წრევანდელი სიმინდისა, თუ სხვა მოსავალს ხალხი არ ემადლიერება, უფრო კი ლობიოს...

არც სხვა მხრით არიან წელს სამეგრელოს მცხოვრებლები უზრუნველ-ყოფილნი. ზაფხულის აქეთ გამოულეველია ყოველს სოფელში ციებ-ცხელება და სხვა-და-სხვა მოარული. წრევანდელი ციებ-ცხელება სულ სხვა ნაირად ჰმოქმედებს ადამიანის აგებულებაზედ ეხლაც ამ შემოდგომაზედ ბევრსა სჭირს ციებ ცხელება, რომლებიც დიდის ტანჯვაწვალებით ჰკვნესიან ლოგინში...

ამ დღეებში ბოქაულმა ვ. კუტალიამ შეიპყრო ციმბირიდგან გამოქცეული გავარდნილი ყაჩაღი ტოჩი შელია, რომელიც აგერ 7—8 წელიწადია, რაც ემალებოდა მთავრობას და ვერ იქნა და ვერ შეიპყრეს იგი. ტოჩი შელია შესანიშნავი ვაჟკაცია თურმე და ერთი იმისი მრისხანე სახე ქრუანტელს ჰგვრის ადამიანსა და აცახცახებს...

ტრიფონ კალანდარიშვილი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პოლიტეხნიკუმის დაარსება მარტო ტფილისს არ უნდა. დიდი ხანია ამასვე მოწადინებულია ქალაქი ოდესსაც. ოდესის ქალაქის გამგეობამ უკვე გადასდო თურმე ამ საქმისათვის 200 ათასი მანეთი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ძალიან ნაკლებად ჰქონია იმედი ამ აზრის განხორციელებისა და ამის უმთავრესი მიზეზი-კი ტფილისი ყოფილა. აი, რა უთქვამს ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გაზ. „Одес. Нов." თანამშრომელისათვის:

„კავკასიაში, სახელდობრ ტფილისში, პოლიტეხნიკუმის დაარსების აზრს ძალიან ბევრი გულითადი და წარჩინებული კაცი ჰყავს მომხრედ. განსაკუთრებით ამ აზრის განხორციელებას ძალიან მოწადინებულია კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ნუ დაივიწყებთ, რომ აწინდელი ფინანსთა მინისტრიც კავკასიელია. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ თუ არჩევანი ოდესასა და ტფილისს შორის მიდგა, სასწორი ამ უკანასკნელისაკენ გადიხრება. აი, სწორედ ამიტომ ოდესამ თვით უნდა იზრუნოს თავისათვისაო. ხოლო ამ საქმეში ყველაზედ მეტ დახმარებას ის ფული გაუწევს, რომელსაც ოდესსა ახალს სასწავლებლისათვის გადასდებსო".

---

## რუსეთი

—

4 ნოემბერს პეტერბურგის სამკურნალო საზოგადოების კრებაზედ საზოგადოების თავმჯდომარემ მკურნალმა ა. ლ. ებერმანმა მოხსენება წაიკითხა საერო ჯანმრთელობის მეთვალ-ყურე სამინისტროს დაარსების შესახებ. ბ-ნმა ებერმანმა, სხვათა შორის, სთქვა, თურმე რომ ასეთის რთულის საქმის შესამუშავებლად საჭიროა თავიანთი აზრი გამოსთქვან როგორც ექიმთ, აგრეთვე სასჯულო საქმისა და პოლიტიკო-ეკონომიის მცოდნეთ და ამა თუ იმ დაწესებულებათა წარმომადგენელთ. ებერმანის აზრით მომავალი სამინისტრო უნდა შესდგეს: 1, მინისტრისა და მის ამხანაგისაგან, II, მინისტრის საბჭოსაგან (ამ ჟამად სამკურნალო საბჭოა მხოლოდ), III, მინისტრის კანცელარიისაგან და IV, რამდენიმე დეპარტამენტისაგან. ამ მოხსენების ძალით არა რაიმე ცვლილება არ მოხდება თურმე ძველ დაწესებულებათა შორის, ეს-კია, რომ ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ერთს დაწესებულებას ექმნება ჩაბარებული.

— საფოსტო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ცვლილებანი იქმნას შემოღებული საფოსტო საქმის წარმოებაში. ცვლილებათა შემოღებას საგნათ ის ექნება, რომ შეუმსუბუქდეთ ფოსტის მოხელეთ მუშაობა და კორესპონდენციების დარიგება გაადვილებულ იქმნეს.

— ზოგიერთ ხაზინებს განკარგულება მისვლიათ, რომ ხუთ მანეთიანი და თუმნიანი ქაღალდის ფული, რაც შეიძლება ცოტა გაეცით ხოლმეო. ფინანსთა სამინისტროს ამ განკარგულებით განხრახვა აქვს ნელნელა შეაჩვიოს ხალხი ლითონის ფულის ხმარებას.

— ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობას ბრძანება დაუგზავნია ყველა საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის უფროსთათვის, რომ დღეიდგან ამა თუ იმ ქალაქისა და სოფლის საზოგადოებათა, ან კერძო კაცთ, რომელნიც შუამდგომლობას დაიწყებენ საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო დაწესებულების დაარსების შესახებ, უნდა ჩამოართვათ ხოლმე პირობის ქაღალდი და ნათლად აღნიშნოთ, თუ რა პირობით უნდათ დაიარსონ ფოსტა-ტელეგრაფი და რა ვადაზედ უნდა შეიტანონ ხოლმე ხაზინაში ნაკისრი ფულიო.

— პეტერბურგში არსდება სასწავლებელი იმ ქალთათვის, რომელნიც მოისურვებენ მესაათობის ხელობის შესწავლას.

— სავაჭრო სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით დაარსებულ კომისიას ქალაქებში შეტანილ და იქიდგან გატანილ საქონელზედ გარდასახადის დაწესების შესახებ უკანასკნელი სხდომა 6 ნოემბერს ჰქონდა. კრებამ ქალაქებში შეტანილ და იქიდგან გატანილ ყოველ ერთ ფუთსავაჭროს გარდასახადათ 2 კაპ. დაადგინა (ძვირფასს სავაჭროზედ), ხოლო ამაზედ მცირე გარდასახადის დაწესება ქალაქების თვითმმართველობათ მიენდოსო.

---

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** 10 ნოემბერს, როდესაც ავსტრიის პარლამენტის ნემენცთა საეროვნო დასის წევრები პალატაში შევიდნენ, გაკვირვებულნი დარჩნენ: არც ერთს სადეპუტატო მაგიდას ზედა უჯრა აღარა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ეს უჯრები დეპუტატებს ძალიან დიდს სამსახურს უწევდა; როდესაც საეროვნო დასის წევრებს საქმე გაუჭირდებოდათ, ან როდესაც კრების გაჭიანურება ჰქონდათ აზრად, ამ უჯრებს დააწყებინებდნენ ხოლმე რახუნს და ასეთის საშუალების წყალობით მოწინააღმდეგეთ ლაპარაკის ნებას არ აძლევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. მთავრობამ ვერაფრით ვერ დააშლევინა ცელქ დეპუტატებს უჯრების რახუნი და ბოლოს იმისი სულ აღება ამჯობინა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ გარემოებამ საშინლად აალელვა შენერერი, ვოლფი და ამხანაგობა, მაგრამ რას გააწყობდნენ. მთავრობას ამ საქმეში სრული უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე მოიქცევა და დეპუტატები ვერ აიძულებენ ხელ-ახლად უჯრების დადგმას. ეს კიდევ არაფერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, სამინისტროს მომხრე დასებს აზრადა აქვთ ისეთი წინადადებანი შეიტანონ და გაიყვანონ პარლამენტში, რომლის ძალით დეპუტატებს აღარც სიტყვის გაჭიანურება შეეძლებათ და აღარც ხმაურობა-ყვირილი, როგორც აქამდის იყო ხოლმე. პარლამენტის პრეზიდენტს უფლება ექმება, მაგალითად, აღუკრძალოს ლაპარაკი ან პარლამენტიდგან სულ გააყვანინოს მოუსვენარი დეპუტატები. ეხლა-კი ძალიან გაუჭირდებათ პარლამენტის წევრთ ნემეცთა პატრიოტებს. აქამდის უჯრების ბრახუნითა და სიმღერებით თავს იქცევდნენ და ეხლა-კი ყურებ-ჩამოყრილი უნდა ისხდნენ და უყურონ გამარჯვებულ მოწინაალმდეგეებს, მაგრამ, ვინ იცის, ისინი ისე მოხერხებულნი არიან, რომ სამუდამოდ გულ-ხელ დაკრეფილები არ დარჩებიან. ისინი, უთუოდ, კიდევ რასმეს მოიგონებენ და ხელ-ახლად გააკვირვებენ თავიანთის „განათლებულის" საქციელით ევროპას და, თუ გნებავთ, აზიასაც.

—

**სერბია.** გაზ. „Rappel"-ი იუწყება, რომ სერბიაში ამ ჟამად დიდი არეულ-დარეულობა არისო. მთავრობამ რამდენისამე რადიკალთა გაზეთის რედაქტორი დაატუსაღა. გაზ. „Serbski Las."-ის გამომცემელმა ვენაში გაქცევა ძლივს მოასწროთ. მთელ სერბიაში დიდი უკმაყოფილებაა. შეიძლება ამბოხებაც-კი მოხდესო.

—

**კრიტი.** ამას წინადა გვქონდა მოხსენებული, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ პრინცი იოსებ ბატენბერგერი წამოაყენესო. ეხლა გაზ. „Daily News"-ს სწერენ საბერძნეთიდგან, რომ რუსეთმა წინადადება მისცა ევროპის სახელმწიფოთ, რომ ბატენბერგის პრინცი გუბერნატორად-კი არა, კრიტის მთავრად იქმნას დანიშნულიო. რუსეთის გულის მოსაგებად, სწერს გაზეთი, საფრანგეთის გარეშე მინისტრმა ჰანოტომ განაცხადა, რომ პოლკოვნიკი შეიფერი ექვსის თვით კუნძულის კამისარად დავნიშნოთ და შემდეგ მთავრობა ბატენბერგის პრინცს ჩავაბაროთო.

## დამაკვირდი

ცოტა არ არის კეთილი მწერალი, რომელიც მიღსა ჰკარგავს, რომ სხვას შესმინოს რამე.

საფირისა

* * *

კაცობრიობის ისტორია თან და თანი წინ სვლაა თავისუფლების შეგნებისაკენ.

ჰებელი

* * *

უსასტიკესი მტარვალობა იქ არის, სადაც მტარვალობა კანონს იფარებს ნიღაბად და დროშად სამართლიანობა უჭირავს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დიდი ხანია, რაც სტამბის საქმის მცოდნე კაცები სცდილობენ გამოიგონონ ასოთ-ასაწყობი მანქანა. ამ ჟამად უკვე არის გამოგონილი რამდენიმე ასოთ-ასაწყობი მანქანა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის სავსებით კარგი. უფრო ყველაზედ კარგი მანქანა არის, ამერიკელის ლასტონის მიერ გამოგონილი მანქანა, რომელიც სულ ერთიანად ზესცვლის სტამბის საქმეს. რომ უფრო კარგად გავიგოთ, რამდენად უკეთესია ლასტონის მიერ გამოგონილი მანქანა, საჭიროა, გავიხსენოთ, რა გააკეთეს უწინდელ მანქანის გამომგონებლებმა.

პირველად ასოთ-ასაწყობი მანქანა გამოიგონა 1822 წელს ჩერჩემმა. მერე ასეთივე მანქანა გამოიგონა მკიმა. არის ერთ გვარი მანქანაც, რომელიც მთელს სტრიქონს ასხავს ასოებისას, მაგრამ ეს მანქანა იმით არ არის კარგი, რომ კორექტურის გასწორება არ შეიძლება. ამერიკელის ლასტონის მიერ გამოგონილი მანქანა იმით განირჩევა, რომ, სწორედ რომ ვსთქვათ, აქ ორი მანქანაა: ერთი ასოებს აწყობს და მეორე ასხავს. შემდეგ კორექტურა სწორდება. დაწვრილებით ამ მანქანის აწერა საჭიროდ არ მიგვაჩნია და ძნელიც არის. ვიტყვით მხოლოდ, რომ როგორცა სჩანს, ეს მანქანა კარგადა ჰმუშაობს, რადგანაც ერთის წლის განმავლობაში ამერიკის 600 სტამბამ შეიძინა ამ გვარი მანქანები. წელს ეს მანქანა ლონდონშიაც მოიტანეს და ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ძლიერ აქებენ.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ბ. ზ. ჭიჭინაძისაგან ახლად დაბეჭდილი წიგნი—„დილარიანი" ქმნილი სარგის თმოგველის მიერ XII საუკუნეში. ამ რომანს მოიხსენებს შოთა რუსთაველი ასე: „დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა" და ჩახრუხაძესაც აქვს მოხსენებული ასე—„მოუბარისა, მას მდუღარისა, დილარისაგან აღშფოთებულათ". ეს „დილარიანი" საქართველოში ძველადვე დაკარგულა ისე, რომ მისი ხელთ-ნაწერიც აღარსად დაშთენილა.

ეს ახლად დაბეჭდილი „დილარიანი" არის მხოლოდ სამი კარი ძველის „დილარიანისა", რომელიც გადუწერიათ 1764 წ. ეს სამი კარი აღმოჩენილა ერთის ძველის ხელთ-ნაწერ მოთხრობის ბოლოში, რომელი ხელთ-ნაწერიც შენახულია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საცავში. ძველის „დილარიანის" აღსადგენად, ამ საუკუნის დამდეგს ახალი „დილარიანი" დაუწერია ცნობილს პეტრე ლარაძეს, რომლის აღდგენილიც მეტად ვრცელი წიგნია. ამ დაბეჭდილს სამს კარსა და ლარაძისაგან აღდგენილს „დილარიანს" შორის არაფერი ერთობა არ არის. ამ სამი კარით დღეს უკვე მიკვლეულია ძველის „დილარიანის" დედნის საქმე, დრო და შრომის მეოხებით შეიძლება, რომ ასე წვრილმანობით მოკოწიწდეს ყველა ადგილები ძველის „დილარიანისა" და ამით როდისმე აღსდგეს სრული ტექსტი სარგის თმოგველის ნაწარმოებისა. ამ სამს კარს ცხადად ეტყობა, რომ იგი სხვა-და-სხვა გადამწერთაგან დიდათ უნდა იყოს გადასხვაფერებული, წიგნს წინ მიუძღვის ვრცელი წერილი სარგის თმოგველისა, იმისის დილარიანისა და პეტრე ლარაძისაგან აღდგენილ „დილარიანის" შესახებ.

წიგნი დაბეჭდილია სუფთათ და ღირს 25 კაპ. წიგნის უკანასკნელს გვერდზედ აცხადებს გამომცემელი, რომ იგი ამზადებს დასაბეჭდად „რუსუდანიანს", მე-XIII საუკ. რომანს, და „კიბე ცად მყვანს", მე-XI საუკ. პოემას, რომელიც ბერძნულიდგან უთარგმნია იოანე პეტრიძეს.

## გამოსადეგი ცნობა

მრავალი საშუალება არის ატმისა და საზოგადოდ ხილის შესანახად. მაგრამ ამ საშუალებათა შორის ყველაზედ საუკეთესო და ადვილი შემდეგია.

ატამი იმ დროს უნდა მოიკრიფოს, რომ შემოსვლას ცოტა აკლდეს. მერე შუა-შუა უნდა დაიჭრას და ცინკისა ან თეთრის თუნუქის ქილაში ჩაიწყოს, თითო რიგს უნდა დააყაროთ ფხვნილი შაქარი, ისე რომ კურკის ადგილები ამოიმსოს. ქილა რომ ატმით აივსება, უნდა დაასხათ სიროფი, (მზადდება ასე: 40 გირვანქა ხილზედ იღებენ 7 გირვანქა შაქარს). მერე ქილას თავი უნდა გადუკეთოთ და 5 წუთით მდუღარე წყალში ჩასდგათ. ამ დროს თვალყური ადევნეთ, წყალში თუ ჰაერის ბუშტები ამოვიდა, სჩანს ქილას თავი კარგად არა ჰქონია გადაკეთული. ასეთი ქილები უნდა ამოიღოთ, კვლავ გადუკეთოთ კარგად თავი და ხელ-მეორედ ჩასდგათ წყალში 5 წუთით.

ამ გვარად მომზადებული ატამი 2 წლიწადსა სძლებს და ძლიერ გემრიელიც არის.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 ნოემბერი

**ბერლინი.** გერმანია აღმოსავლეთ აზიისაკენ ჰგზავნის სამხედრო გემებს „იმპერატრიცა ავგუსტა" და „გერმანია"-ს. ამბობენ, რომ ამ გემების უფროსად დანიშნულ იქმნება პრინცი ჰენრიხ პრუსიისა.

**რომი.** მეფემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც გენერალი მორრო დანიშნულ იქმნა ელჩად პეტერბურგში.

**კონსტანტინეპოლი.** 11 ნოემბერს მოხდა კრება ელჩებისა კრიტის საქმის განსახილველად. ამ კრებას სხვებიც მოჰყვება, რათა ეს საქმე რაც შეიძლება მალე გამოირკვეს.

საზღვარის დამდები კომისია კონსტანტინეპოლში ბრუნდება. საზღვარი დადებულია გურნიცამდე; სხვა მუშაობა გადადებულ იქმნა გაზაფხულამდე.

**ათინა.** დეპუტატთა პალატა. დელიანის მომხრენი ყველანი მოვიდნენ. სხვა დასების წარმომადგენელნი არ გამოცხადდნენ, რის გამოც პალატაში არ შეიკრიბა საჭირო რიცხვი დეპუტატთა. ხვალ კიდევ შეიკრიბება პალატა და თუ საჭირო რიცხვი არ შეიკრიბა დეპუტატებისა, კრებას 10 დღის შემდეგ მოუწოდებენ. საზოგადოება აღელვებულია საქმის ამ გვარ ვითარებით.

**სოფია.** 11 ნოემბერს დაიწყო აქ მოქმედება რუსულმა სავაჭრო ბანკმა, რომელიც კიევის ბანკის განყოფილებას წარმოადგენს.

13 ნოემბერი

**ეკატერინოსლავი.** შაროვკის სადგურზედ 11 ნოემბერს, ღამე, ხალხის მატარებელი დაეტაკა ტვირთის მზიდველს მატარებელს. დაიმტვრა საფოსტო ვაგონი, ტვირთისა, რიმდენიმე ვაგონი მესამე კლასისა და ტვირთისა. მძიმედ არის დაშავებული 4 კაცი. ვაგონის ერთმა კედემა თან მოიტანა ფოსტის მოხელე და მოსამსახურე.

**პარიჟი.** ტარბას ახლოს, ტურნეს სადგურთან, ტვირთის მზიდველი მატარებელი დაეტაკა მეორე მატარებელს. რამდენიმე ვაგონი დაიმტვრა. რამდენიმე კაცია დაჭრილი და მოკლული.

**კონსტანტინეპოლი.** დღეს კვლავ იამშვიდობო მოლაპარაკება იყო მე-11 მუხ. შესახებ. კერძო კაცთა ზარალის აღსადგენად და დასაჯილდოვებლად დაინიშნა 100,000 ფრანკი. მრავალ-რიცხოვანი კომისია წავიდა იპეკს, რომ დაამშვიდოს ალბანელები.

**პარიჟი.** დრეიფუსის საქმე. პოლკოვნიკი პიკარი, რომელიც ჩქარა ჩამოვა პარიჟში, მათე დრეიფუსი და ესტერგაზი პირის პირ იქმნებიან წაყენებულნი და ჩვენება ისე ჩამოერთმევათ. გაზ. „Fouz"-ი განმარტავს, რომ შერერ-კესტნერის საქმე შესდგება მხოლოდ მარტო იმ საბუთის ქაღალდებისაგან, რომელიც მიღებულია პიკარისაგან, პიკარი-კი იმასა ამტკიცებს, რომ როდესაც სამხედრო მინისტრთან ვიყავი, დავრწმუნდი, რომ ესტერგაზს, იმ აზრით, რომ სამინისტროსაგან ფული მიეღო, მიუწერია საბუთის ქაღალდი, რისათვისაც დრეიფუსს სასჯელი გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი.** გუს-რთა ლეიბ-გვარდიის რაზმის კორნეტი დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე ინიშნება ფლიგელ ადიუტანტად.

—


## განცხადებანი

29-й годъ изданія. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ 1898 г.

# НИВА

выходящій еженедѣльно, со многими безплатными приложеніями.

Гг. подписчики „НИВЫ" получатъ въ теченіе 1898 года:

**52 №№** художественно-литературнаго Журнала „НИВА", заключающаго въ себѣ въ теченіе года около 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ и рисунковъ.

**ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ И. С. ТУРГЕНЕВА**

которое явится ПЕРВЫМЪ по полнотѣ содержанія, такъ какъ въ него войдутъ «Стихотворенія» Тургенева, не помѣщенныя въ прежнихъ изданіяхъ. Полное собраніе сочиненій Тургенева будетъ приложено къ «Нивѣ» въ теченіе **однаго 1898 года** въ 12 томахъ, отпечатанныхъ на хорошо глазированной бумагѣ, еще болѣе четко, чѣмъ приложенія предыдущихъ лѣтъ, съ приложеніемъ автографа и портрета И. С Тургенева, и будетъ выходить подъ заглавіемъ „Сборника Нивы", по одному тому въ началѣ каждаго мѣсяца. Содержаніе отдѣльныхъ томовъ слѣдующее:

ТОМЪ 1 Портретъ и факсимиле И. С. Тургенева. Предисловіе. біографія И. С. тургенева. Записки охотника. ТОМЪ II. Отцы и дѣти. Наканунѣ, ТОМЪ III. Дымъ. Дворянское гнѣздо. ТОМЪ IV. Новь. Рудинъ. ТОМЪ V. Андрей Колосовъ. Бреттеръ. Три портрета. Жидъ. Пѣтушковъ. Дневникъ лишняго человѣка. Три встрѣчи. Муму. Постоялый дворъ. ТОМЪ VI. Два пріятеля. Затишье. Переписка. Яковъ Пасынковъ. Фаустъ. Поѣздка въ Полѣсье. Ася. ТОМЪ VII. Первая любовь. Призраки. Довольно. Собака. Исторія леитенанта Ергунова. Бригадиръ. Несчастная. Странная исторія. степной Король Лиръ. ТОМЪ VIII. Вешнія воды. Стукъ... стукъ. . стукъ! Пунинъ и Бабуринъ. Часы. Сонъ. Разсказъ отца Алексѣя. Отривки изъ воспоминаній. Пѣснь торжествующей любви. ТОМЪ IX. Клара миличъ. Стихотворенія въ прозѣ. Стихотворенія. ТОМЪ X Вмѣсто предисловія. Неосторожность. Безденежнье. Гдѣ тонко, тамъ и рвется. Нахлѣбникъ. Холостякъ. ТОМЪ XI. Завтракъ у предводителя. Мѣсяцъ въ деревнѣ. Провинціалка. Разговоръ на большой дорогѣ. Вечеръ въ Соррентѣ. ТОМЪ XII. Литературныя и житейскія воспоминанія. Критическія статьи и рѣчи. Некрологи, письма. Переводы. Хронологическій и алфавитный указатели.

Ж Соч. Тургенева могутъ быть пріобрѣтены въ видѣ безплатнаго приложенія только въ теченіе 1898 г. и отдѣльно отъ „Нивы" не продаются. Ж

**12 КНИГЪ** „ЕЖЕМѢСЯЧНЫХЪ ЛИТЕРАТУРНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ" которыя будутъ выходить при „НИВѢ" въ серединѣ каждаго мѣсяца и содержать въ себѣ романы, повѣсти, разсказы и проч. современныхъ авторовъ.

**12 №№** „ПАРИЖСКИХЪ МОДЪ", выходящихъ ежемѣсячно и содержащихъ до 300 модныхъ гравюръ,

**12 ЛИСТОВЪ** рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ (около 300) и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

„СТЕННОЙ КАЛЕНДАРЬ" на 1898 г., печатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми вышеозначенными приложеніями: Безъ доставки въ СПБ. 5 р. 50 к. Съ доставкою въ СПБ. 6 р. 50 к. безъ доставки въ москвѣ (въ конт. Н. П. Печковской) 6 р. 25 к. Съ пересылкою во всѣ города и мѣстности Россіи 7 р. за границу 10 р.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургѣ въ главную контору журнала „НИВА" (А. Ф. МАРКСУ), малая морская; д. № 22.

(5—3.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 13-го Ноября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.